

## რეზიდენტურის დებულება

### მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ფარგლებში სარეზიდენტო პროგრამებისა და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების დანერგვა, მედიცინის სხვადასხვა სპეციალობაში დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების სახელმწიფო აკრედიტებული პროგრამებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მზადების ხელშეწყობა ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 2. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დებულება ეფუძნება საქართველოს კანონს „საექიმო საქმიანობის შესახებ“ და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას №135/ნ „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/ და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“;
2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის **რეზიდენტურის მიმართულების**, სარეზიდენტო პროგრამისა და ხელმძღვანელის/მოდულის ხელმძღვანელის, რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლებისა და რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებელის კომპეტენციასა და საქმიანობის წესს. ასევე, არეგულირებს სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებასთან და მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.
3. **რეზიდენტურის მიმართულება** წარმოადგენს დიპლომისშემდგომი სწავლების ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს: ა) დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურა) პროგრამების შემუშავებას, შესაბამისი აკრედიტაციისათვის მომზადებას და მართვას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამების შესაბამისად; ბ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებას;
4. რეზიდენტურის საფასურთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის საბჭო პროგრამის განვითარების საბჭოს მიმართვაზე დაფუძნებით და და დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

### **მუხლი 3. რეზიდენტურის მიმართულება**

1. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის რეზიდენტურის მიმართულებას მართავს ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ფარგლებში არსებული სარეზიდენტო პროგრამების მართვას შესაბამისი ხელმძღვანელების აქტიური ჩართულობით;
2. ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის **რეზიდენტურის მიმართულების** ხელმძღვანელის ფუნქციებია:
  - ა) დიპლომისშემდგომი პროფესიული მზადების (რეზიდენტურის) პროგრამების მომზადება, მართვა და მონიტორინგი.
  - ბ) რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;
  - გ) რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადების მიმდინარეობის შეფასება;
  - დ) რეზიდენტურასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი;
  - ე) კომპეტენციის ფარგლებში, ცალკეულ სამუშაოს შესასრულებლად სპეციალისტ-ექსპერტების მოწვევა;
  - ვ) რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება, რომელიც იძლევა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და მიდგომების, ასევე პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას;
  - ზ) პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესიული განვითარების საბჭოში დოკუმენტაციის სააკრედიტაციოდ მომზადება და წარდგენა;
  - თ) სარეზიდენტო პროგრამის და მოდულის ხელმძღვანელთა საქმიანობის კოორდინაცია, ხარისხის კონტროლის მიზნით შესაბამისი სხდომების ორგანიზება და სარეზიდენტო პროგრამების მიმდინარეობის მონიტორინგი;
  - ი) რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა პროფესიული მზადების ანგარიშების შეფასება;
  - კ) სარეზიდენტო პროგრამის დასრულებისთან დაკავშირებული სახელმწიფო მოწმობის გაცემის ორგანიზება;
  - ლ) რეზიდენტურაში სპეციალობის მაძიებელთა მიღების ორგანიზაციული და საკონსულტაციო უზრუნველყოფა;
  - მ) სახელმწიფო სარეზიდენტო პროგრამების მართვის მექანიზმების უწყვეტი სრულყოფა;
  - ნ) სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელება.
  - ო) დიპლომისშემდგომი განათლების მიმართულებით ევროპისა და საერთაშორისო ასოციაციებთან და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან, ჰოსპიტლებთან აქტიური თანამშრომლობის დანერგვა და ხელშეწყობა.

### **მუხლი 4. სარეზიდენტო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე აფილირებული დაწესებულებები**

1. რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლება და/ან სარეზიდენტო პროგრამის განხორციელება მიმდინარეობს საქართველოს უნივერსიტეტთან აფილირებულ კლინიკებში და საუნივერსიტეტო სივრცეში;

2. აფილირებულ კლინიკაში სარეზიდენტო პროგრამის/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არიან: ა) სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი; ბ) ცალკეული მოდულების ხელმძღვანელები; გ) აფილირებული კლინიკის ადმინისტრაცია (კლინიკის რესურსების მობილიზების და გამოყენების კუთხით); დ) სკოლის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები

**მუხლი 5. რეზიდენტურის პროგრამაზე და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლებაზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესი**

1. რეზიდენტურის/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების მიღების მიზნით კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, რომელმაც ერთიან დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მოიპოვა 170 ქულა ან მეტი და აქვს მაძიებლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა.
2. საქართველოს მოქალაქეებისთვის რეზიდენტურის და/ან რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) სპეციალობის მაძიებლის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები.
3. რეზიდენტურის და რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის – “რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი განათლებაში (პროფესიული მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა: - ბრძანების (#135/ნ, 08.04.2009) საფუძველზე და მის შესაბამისად აკრედიტაციით მინიჭებული ლიმიტის/ქვოტის მიხედვით.
4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს: ა) აკრედიტირებული უმაღლესი სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულ დიპლომირებულ მედიკოსს, რომელმაც დადგენილი წესის მიხედვით ჩააბარა ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა და მიიღო სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და შესაბამისი ცნობა; ბ) სერტიფიცირებულ ექიმ-სპეციალისტს, რომელსაც სურს მოიპოვოს ახალ საექიმო სპეციალობაში დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება; გ) პირს, რომელსაც უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ და მისი დიპლომი აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5. ჩარიცხვის ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტას, მათ შორის, საექიმო სპეციალობის მაძიებელთა კონსულტაციებს, განცხადებების მიღებას, საბუთების დადგენილ წესთან შესაბამისობის შემოწმებას უზრუნველყოფს **რეზიდენტურის მიმართულება**.
6. რეზიდენტურაში/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამებზე ჩასარიცხ პირთა რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციით მინიჭებული რეზიდენტთა/საექიმო სპეციალობის მაძიებელთა ლიმიტის (ქვოტის) მიხედვით.

7. საექიმო სპეციალობების მიხედვით რეზიდენტურის/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამებზე წინასწარი რეგისტრაცია, კონკურსის ვადები და საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და პირობები განისაზღვრება ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ბრძანებით;
8. სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:
  - განცხადება სარეზიდენტო პროგრამაზე დაშვების შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით, იხ. დანართი №1);
  - ერთიანი დიპლომის შემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შედეგად მინიჭებული სპეციალობის მაძიებლის დამადასტურებელი მოწმობა ან/და ცნობა, რომლის გაცემის მომენტიდან არ გასულა 3 (სამი) წელი;
  - უმაღლესი სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი და დიპლომის ასლი);
  - Curriculum Vitae (CV);
  - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი;
  - 2 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3X4;
  - დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი (მხოლოდ ექიმ-სპეციალისტებისთვის);
  - აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულ მატარებელზე (CD).
9. მაძიებელს უფლება აქვს საბუთები შემოიტანოს მხოლოდ ერთ საექიმო სპეციალობაში.
10. საექიმო სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვა განხორციელდება ერთიანი დიპლომისშემდგომ საკვალიფიკაციო გამოცდაზე მინიჭებული ქულის მიხედვით.
11. სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამებზე ჩარიცხვა სპეციალობის მაძიებელთა ის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია აკრედიტაციის შედეგად დადგენილი ლიმიტის (ქვოტის) ფარგლებში.
12. სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამებზე მაძიებელთა ჩარიცხვა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

## **მუხლი 6. სარეზიდენტო პროგრამაში ჩართული პერსონალი**

1. სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულის ხელმძღვანელი.
2. პროგრამის ხელმძღვანელი: სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი (სრული/ასოცირებული პროფესორი ან მეცნიერებათა დოქტორი) (გარდა საექიმო სპეციალობისა "საოჯახო მედიცინა"), პედაგოგიური გამოცდილება არანაკლებ 5 წელი. პროგრამის ხელმძღვანელი უნდა

მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში.

3. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია რეზიდენტურის მიმართულების ხელმძღვანელის, სკოლის საბჭოსა და სკოლის დირექტორის წინაშე;
4. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
  - ა) სპეციალობის აღწერილობის საფუძველზე შედგენილ სარეზიდენტო აკრედიტირებული პროგრამის განხორციელების კოორდინაცია;
  - ბ) რეზიდენტურაში მიღების პროცესში მონაწილეობა;
  - გ) სამედიცინო დაწესებულების, მოდულის ხელმძღვანელისა და რეზიდენტთან ერთად ინდივიდუალურ გეგმა-გრაფიკს შედგენა;
  - დ) რეზიდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით წინასწარ დადგენილი ჩასატარებელი მანიპულაციების რაოდენობის მონიტორინგი;
  - ე) ყოველწლიურად აფასებს რეზიდენტის მომზადებისა და საქმიანობის ყოველწლიური შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების უზრუნველყოფა;
  - ვ) სარეზიდენტო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ რეზიდენტის შემაჯამებელი ატესტაციის უზრუნველყოფა;
  - ზ) ცალკეული მოდულების ხელმძღვანელების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება;
5. მოდულის ხელმძღვანელი: 1 წელი პედაგოგიური გამოცდილება, სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატი განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, ან სამეცნიერო ხარისხი, სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში და სახელმწიფო სერტიფიკატი განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება, ან სახელმწიფო სერტიფიკატი სარეზიდენტო პროგრამის შესაბამის საექიმო სპეციალობაში, სახელმწიფო სერტიფიკატი განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილება და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამის გავლა. მოდულის ხელმძღვანელი უნდა მონაწილეობდეს დიპლომამდელ განათლებაში ან/და უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემაში.
6. მოდულის ხელმძღვანელის ფუნქციებია:
  - ა) მოდულის ფარგლებში რეზიდენტის მუშაობის წარმართვა;
  - ბ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მუშაობის მონიტორინგი, შუალედური და საბოლოო შეფასებების უზრუნველყოფა;
  - გ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა;
  - დ) გასაუმჯობესებელი მხარეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გასაძლიერებლად რეზიდენტისთვის/საექიმო სპეციალობის მაძიებლისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა;
  - ე) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის პორტფოლიოში-მოდულის გავლის შემდეგ საბოლოო შეფასების და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება;
  - ბ) რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხელმოწერით დადასტურება რეზიდენტის დღიურში;

### **მუხლი 7. შეფასების სისტემა**

1. რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სქემით, შეფასების ბარათის მეშვეობით (იხ. დანართი №2 (რეზიდენტის შეფასების ბარათი) და დანართი №3 (მოდულის ხელმძღვანელის შეფასება)). შეფასების ბარათში მოდულების ხელმძღვანელების მიერ ფიქსირდება რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ მიღწეული კომპეტენციის დონე;
2. შეფასების ბარათს ექვს თვეში ერთხელ ამოწმებს პროგრამის ხელმძღვანელი და ხარვეზების არსებობის შემთხვევაში მოითხოვს მის გამოსწორებას მითითებულ ვადებში. რეზიდენტურის დამთავრების შემდეგ, შეფასების ბარათის დამოწმებული ასლი გადაეცემა რეზიდენტს. შეფასების ბარათის ერთი ასლი ინახება არქივში.

### **მუხლი 8. შეფასების გასაჩივრება**

1. რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წერიითი ნაშრომის ან/და ზეპირი/დისტანციური გამოცდის აუდიო/ვიდეო ჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გაასაჩივროს შეფასებაში მიღებული შედეგი, შეფასების „ჩემი UG“-ის სისტემაში ასახვიდან 4 სამუშაო დღის განმავლობაში (შედეგის ასახვის დღე ითვლება პირველ დღედ).
2. რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი „ჩემი UG“-ის სისტემის მეშვეობით ნაშრომის ან/და ვიდეო/აუდიო ჩანაწერის მიღების მიზნით 1 პუნქტში დადგენილ ვადებში განცხადებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს; შეფასების გასაჩივრების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ხელმძღვანელი.
3. რეზიდენტმა/საექიმო სპეციალობის მაძიებელმა განცხადებაში უნდა მიუთითოს თუ რომელ საკითხს ან შეფასების რა ნაწილს აპროტესტებს; ზოგადი საჩივარი არ განიხილება.
4. განცხადების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს განცხადების განხილვას და შედეგების ასახვას.
5. გასაჩივრებული ნაშრომის განსახილველად პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს გასაჩივრების კომისიის შექმნას.
6. გასაჩივრების კომისიის აუცილებელი წევრია: რეზიდენტურის მიმართულების ხელმძღვანელი, შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის ხელმძღვანელი (მისი არ ყოფნის შემთხვევაში იმავე მოდულის განმახორციელებელი სხვა პროფესორი); გასაჩივრების კომისიის წევრი შესაძლოა იყოს ასევე: სკოლის დირექტორი, დეპარტამენტის უფროსი, იმავე მოდულის განმახორციელებელი სხვა პროფესორი. გასაჩივრების კომისიის სხდომა ოქმდება. სხდომის თავმჯდომარეა იმ პროგრამის ხელმძღვანელი, რომლის რეზიდენტის/საექიმო სპეციალობის მაძიებლის მიერ ხორციელდება შეფასების ფორმის გასაჩივრება.

### **მუხლი 9. რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი**

1. რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უფლება აქვს: ა) მოითხოვოს შესაბამისი საგანმანათლებლო და პრაქტიკული პირობებით უზრუნველყოფა; ბ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს პროგრამის ხელმძღვანელს, რეზიდენტურის მიმართულების ხელმძღვანელს.

2. რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი ვალდებულია: ა) შეასრულოს სარეზიდენტო პროგრამით განსაზღვრული კურიკულუმი; ბ) მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური (იხ. დანართი №4 (რეზიდენტურის დღიური)); გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი და შემაჯამებელი შეფასება; დ) დაიცვას საქართველოს უნივერსიტეტის და სამედიცინო დაწესებულების შინაგანაწესი;
3. რეზიდენტს/საექიმო სპეციალობის მაძიებელს უშუალო შეფასებას ახორციელებს მოდულის ხელმძღვანელი.
4. რეზიდენტის შუალედური/საბოლოო უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელმა, შეიძლება განუსაზღვროს მას ის მოდული/მოდულები, რომლებიც უნდა გაიაროს განმეორებით.

### **მუხლი 10. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა**

1. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია სარეზიდენტო პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული პერსონალის და რეზიდენტების აქტივობების პერმანენტული გაუმჯობესება. (პორტფოლიოს წარმოებაზე მონიტორინგი) ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და შესრულების უზრუნველყოფა.
2. სასწავლო პროცესის დახვეწას უზრუნველყოფს შეფასების პირდაპირი და ირიბი მექანიზმები (სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების: რეზიდენტების / საექიმო სპეციალობის მაძიებლების, ხელმძღვანელების, აკადემიური პერსონალის, კლინიკური პერსონალის და სხვ. გამოკითხვის კითხვარები და ა.შ.).
3. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება სარეზიდენტო/რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადება) პროგრამის განვითარების საბჭო, რომლის შემადგენლობაში წარმოდგენილნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის ხელმძღვანელები, აფილირებული კლინიკების წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი, რეზიდენტი/საექიმო სპეციალობის მაძიებელი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული და სხვა დაინტერესებული მხარეები (საჭიროების შემთხვევაში).

### **მუხლი 11. დასკვნითი დებულებები**

1. რეზიდენტურის დებულების შემუშავებასთან ან/და ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, საკითხის განხილვა ხორციელდება ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის საბჭოზე; ხოლო რეზიდენტურის დებულების პროექტი ან/და ცვლილებების პროექტი დასამტკიცებლად წარუდგინება რექტორის საბჭოს.
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, აგრეთვე ძალადაკარგულად გამოცხადება, ხდება დადგენილი კანონმდებლობისა და შიდანორმატიული აქტების შესაბამისად.